საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის
ოქმი N 10

23.10.2020.

დისტანციურ სხდომას ესწრებოდნენ: ამირხანაშვილი ივანე, ლომინაძე გიორგი, ნადარაია ელიზბარ, ნადარეიშვილი ვახტანგ, ოკრიბელაშვილი ნინო, სალუქვაძე იოსებ, ხუციშვილი ქეთევან, შალიკაშვილი მორის, შენგელაია ალექსანდრე, ჭედია როინ, ჯობავა თამარ.

დღის წესრიგი:

1. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **გიორგი მირიანაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცების და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.
2. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **მარიანა თავაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცების და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
3. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი ეკოლოგია“ დოქტორანტ **სოფიო ვეფხვაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცების და ეკოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
4. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“ დოქტორანტ **მარინა ელბაქიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის წევრების დამტკიცება.
5. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“ დოქტორანტ **ლამარა სუხიტაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის წევრების დამტკიცება.
6. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ირაკლი ადეიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის წევრების დამტკიცება.
7. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **შოთა ყარალაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტის ცვლილების დამტკიცება.
8. სადისერტაციო ნაშრომების დისტანციურად დაცვის საკითხის განხილვა.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი" დოქტორანტ **გიორგი მირიანაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ პროფესორმა, მაია ივანიძემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ევროპის საბჭოსა და ევროპული კავშირის ფარგლებში არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის კოლიზიური სტანდარტები ექსტრადიციის სფეროში" - დაცვის პროცედურის და სამეცნიერო ღირებულების შესახებ. დოქოტრანტი ეწევა აკადემიურ საქმიანობას, ასწავლის ამჟამად გრ. რობაქიძის უნივერსიტეტში. ის იყო ფოლკსვაგენის ფონდის სტიპენდიანტი. მან აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 93 ქულით.
აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ საკმაოდ საფუძვლიანი სადისერტაციო ნაშრომია; დოქტორანტი 15 პუბლიკაციის და 2 მონოგრაფიის ავტორია. პუბლიკაციებიდან ჩანს, რომ აშკარად სერიოზული მკვლევარია.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **გიორგი მირიანაშვილისთვის** სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი" დოქტორანტ **მარიანა თავაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანმა, თსუ ასოც. პროფესორმა, ნათია ჩიტაშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის სამოქალაქო სამართლებრივი დაცვა" - დაცვის პროცედურის და სამეცნიერო ღირებულების შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი,

მათ შორის 2 წევრი ჩართული იყო დისტანციურად, ვიდეო-საკონფერენციო პლატფორმა ZOOM-ით. სადისერტაციო ნაშრომს აშკარად ეტყობა ხელმძღვანელის თ. ნინიძის გავლენა. დისერტანტს გამოკვლეული აქვს ქართული სასამართლო პრაქტიკა და შეიმუშავა რეკომენდაციები. მას გამოქვეყნებული აქვს ერთი პუბლიკაცია, რომელიც დისერტაციის ნაწილს წარმოადგენს. დისერტაცია შეფასდა 73 ქულით.

აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილი დაინტერესდა, თუ როგორ შეაფასეს ზუმით ჩართულმა სადისერტაციო ნაშრომის კომისიის წევრებმა ნაშრომი.

მოისმინეს: ნ. ჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ მათ შეავსეს შეფასების ბიულეტენი და გადმოგზავნეს ელფოსტით.

აზრი გამოთქვა: ნ. ოკრიბელაშვილმა აღნიშნა, რომ ფაქტობრივად დარღვეულია დისერტაციის დაცვის პროცედურა, არ იქნა დაცული დისერტაციის დისტანციურად შეფასების კონფიდენციალურად ჩატარების პროცედურა.

აზრი გამოთქვა: ი. სალუქვაძე დაინტერესდა, იყო თუ არა ყველა შეფასება დადებითი?

მოისმინეს: ნ. ჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ ყველა შეფასება დადებითი იყო. ამ შემთხვევაში არაა დარღვეული კონფიდენციალურობა. ორმა წევრმა ერთი საერთო მეილიდან გამოგზავნა შეფასება, მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავდით, ვინ რა შეფასება დაწერა.

აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილი დაინტერესდა, თუ ვინ მიიღო გადაწყვეტილება ამ წესით შეფასების ჩატარების თაობაზე?

აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილმა განაცხადა, რომ სასურველია საკითხი გადაიდოს შემდეგი სხდომისთვის.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე მიიღეს გადაწყვეტილება **მარიანა თავაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაიდოს შემდეგი სხდომისთვის. ეთხოვოს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას ხმის მიცემის პროცედურის ჩატარება კონფიდენციალობის პრინციპის სრული დაცვით.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი ეკოლოგია“ დოქტორანტ **სოფიო ვეფხვაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ეკოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრმა, თსუ ასისყენტ-პროფესორმა, ვაჟა ტრაპაიძემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „კახეთის ტერიტორიაზე კავკასიონის კარსტული წყლების შესწავლა სტაბილური იზოტოპებისა და ჰიდროქიმიური მეთოდებით” - დაცვის პროცედურის და სამეცნიერო ღირებულების შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 91 ქულით.

აზრი გამოთქვა: თ. ჯობავამ აღნიშნა, რომ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დისერტაციამ; ერთი პუბლიკაცია გამოქვეყნებულია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში. შრომები შესრულებულია მაღალ დონეზე, საკმაოდ აქტუალურია; საინტერესოა კვლევის მეთოდოლოგია. დოქტორანტს აქვს გრანტები.

აზრი გამოთქვა: ა. შენგელაია დაინტერესდა, თუ სად და როდის ჩატარდა დისერტაცია?

მოისმინეს: ვ. ტრაპაიძემ აღნიშნა, რომ დაცვა 28 სექტემბერს ჩატარდა თსუ პირველ კორპუსში, დისტანცირების სრული დაცვით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **სოფიო ვეფხვაძისათვის** ეკოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“ დოქტორანტ **მარინა ელბაქიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისიის წევრები (თემა: „პიროვნული და ორგანიზაციული მახასიათებლების როლი ორგანიზაციული სოციალიზაციის პროცესში (ასერტიულობა, პერფექციონიზმი და მართვის სტილი)“; სამეცნიერო ხელმძღვანელი - თსუ პროფესორი იამზე კუტალაძე, ფსიქოლოგიის დოქტორი).

აზრი გამოთქვა: ნ. ოკრიბელაშვილმა და თ. ჯობავამ აღნიშნეს, რომ გამორჩეულად კვალიფიცირებული პროფესორები არიან წარმოდგენილი როგორც რეცენზენტებად, ასევე სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიაში.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“ დოქტორანტ **მარინა ელბაქიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) რუსუდან ციცქიშვილი - საქართველოს უნივერსიტეტის ასოც.პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;

ბ) ლუიზა არუთინოვა - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;

გ) ქეთევან ჭანტურია - ლონდონის სამეფო კოლეჯის პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი, ფსიქიატრიის, ფსიქოლოგიისა და ნეირომეცნიერების ინსტიტუტი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:
ა) თამარ გაგოშიძე - თსუ პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;
ბ) მაია რობაქიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
გ) რევაზ ჯორბენაძე - თსუ პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
დ) სოფიო დოლიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
ე) თამარ აბაშიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
ვ) ირინა ჟვანია - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
ზ) დიმიტრი ნადირაშვილი - წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“ დოქტორანტ **ლამარა სუხიტაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისიის წევრები (თემა: „ზოგადი კოგნიტური უნარის, სამუშაოს მახასიათებლებისა და შრომითი კმაყოფილების პირდაპირი და ირიბი კავშირების ანალიზი“; სამეცნიერო ხელმძღვანელი - თსუ პროფესორი იამზე კუტალაძე, ფსიქოლოგიის დოქტორი).
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“ დოქტორანტ **ლამარა სუხიტაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:
რეცენზენტები:
ა) მაია რობაქიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
ბ) ზურაბ ბიგვავა - კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
გ) იაკობ ეიზენბერგი - დუბლინის საუნივერსიტეტო კოლეჯი (ირლანდია), ბიზნეს სკოლის ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი.
სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:
ა) თამარ გაგოშიძე - თსუ პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;
ბ) ეკატერინე ფირცხალავა - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
გ) სოფიო დოლიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
დ) ხათუნა მარწყვიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
ე) ირინა ჟვანია - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
ვ) ლუიზა არუთინოვი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
ზ) რუსუდან ციცქიშვილი - საქართველოს უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ირაკლი ადეიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისიის წევრები (თემა: „კომერციული იურიდიული პირების უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით“, სამეცნიერო ხელმძღვანელი - თსუ პროფესორი ირინე ქურდაძე, სამართლის დოქტორი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ირაკლი ადეიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) ალექსანდრე იოსელიანი - „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ბ) ნინო რუხაძე - თსუ ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ეკა სირაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ბ) დავით გეფერიძე - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი;

გ) მაია ბითაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

დ) მარიამ კევლიშვილი - თსუ ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ე) კონსტანტინე კორკელია - თსუ პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ვ) ირაკლი ბურდული - თსუ პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ზ) ბესარიონ ზოიძე - თსუ პროფესორი, სამართლის დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა საკითხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **შოთა ყარალაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტის ცვლილების თაობაზე (თემა: „საპენსიო რეფორმა ესტონეთსა და საქართველოში (შედარებითი ანალიზი)“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ავთანდილ სილაგაძე - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **შოთა ყარალაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტად თსუ ასოც. პროფესორ შოთა ვეშაპიძის ნაცვლად, ლელა ბახტაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს განსახილველად წარუდგინა საკითხი სადისერტაციო ნაშრომების დისტანციურად დაცვის შესახებ. მან აღნიშნა, რომ საბჭომ ადრე იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ დაცვა ჩატარდეს აუდიტორიაში. მას შემდეგ ქვეყანაში შეიცვალა ეპიდსიტუაცია და დადგა საჭიროება დისტანციური დაცვების შესახებ მივიღოთ გადაწყვეტილება. შეხვედრა გავმართეთ ფაკულტეტების დეკანებთან. შევთანხმდით, რომ პროცედურები გვაძლევს საშუალებას, ფაკულტეტებს შევთავაზოთ კონკრეტული პლატფორმა, რომლის გამოყენებითაც ჩაატარებენ დაცვის პროცედურას. მნიშვნელოვანია, დისერტაციის დისტანციურად შეფასებისას კონფიდენციალობის დაცვა, რის საშუალებასაც იძლევა შერჩეული პლატფორმა - ElectionBuddy. კონსულტაცია გავიარეთ ასევე თსუ იურიდიულ დეპარტამენტთან. დისტანციური დაცვა განიხილება ალტერნატიულ საშუალებად და ფაკულტეტებს ექნებათ შესაძლებლობა აირჩიონ დისერტაციების დაცვის ფორმატი.

აზრი გამოთქვა: ა. შენგელაიამ აღნიშნა, რომ მინისტრის ბრძანება აძლევს საშუალებას უნივერისტეტებს ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობები ჩატარდეს. არ გადავიქცეთ ვირტუალურ უნივერსიტეტად. 15 კაცის შეკრება დიდ აუდიტორიაში შესაძლებელია.

აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, ,,იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად „საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, საქმიანობის ელექტრონული ფორმით, დისტანციური წესით განხორციელების მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებაში კოლეგიური ორგანოების (მათ შორის, სამეურვეო საბჭოს, აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოს, სტუდენტთა/მოსწავლეთა თვითმმართველობების, სადისერტაციო საბჭოებისა და სხვა) საქმიანობა განახორციელოს დისტანციურად, ადმინისტრაციული წარმოებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით (გადაწყვეტილებების მიღებისათვის კვორუმის დადგენა, ხმის მიცემა, ოქმის წარმოება და სხვა). ამ საფუძველზე დისერტაციების დაცვა შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციური წესით. შეგვიძლია დავადგინოთ, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის #322 დადგენილები მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის და დადგენილებაში 2020 წლის 16 სექტემბერს შეტანილი #578 ცვლილების საფუძველზე, სადისერტაციო ნაშრომების დაცვის ალტერნატიულ დისტანციური წესით განხორციელებისათვის განისაზღვროს zoom პლატფორმა, ხოლო შეფასების კონფიდენციალობის დაცვისთვის ElectionBuddy.

აზრი გამოთქვა: ა. შენგელაიამ აღნიშნა, რომ მხარს არ უჭერს ამ პოზიციას და მიაჩნია რომ აღნიშნულ საკითხზე უნდა იმსჯელოს აკადემიურმა საბჭომ. დაემატოს დისტანციურად დაცვის ობიექტური მიზეზები.

აზრი გამოთქვა: თ. ჯობავამ აღნიშნა, რომ ეთანხმება ა. შენგელაიას მოსაზრებას. დისერტაციების დისტანციური დაცვის ჩატარების თაობაზე უნდა ჩაიწეროს კონკრეტული პირობები.

აზრი გამოთქვა: ნ. ოკრიბელაშვილმა აღნიშნა, რომ არის განსაკუთრებული შემთხვევები, როცა დისერტაციების დაცვა ჩატარდება დისტანციურად.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ მხარი დაუჭირა 10-მა წევრმა, თავი შეიკავა ალექსანდრე შენგელაიამ.

დაადგინეს: ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, ,,იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის #322 დადგენილები მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერიტეტში სადისერტაციო ნაშრომების დაცვის ალტერნატიულ დისტანციური წესით განხორციელებისათვის განისაზღვროს Zoom-ის, ხოლო შეფასების კონფიდენციალობის დაცვისთვის ElectionBuddy პლატფორმები.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე,
ქეთევან ხუციშვილი



საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
მორის შალიკაშვილი